გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 02 ივლისის წერილით N18-01241842449 უარი გვეთქვა გადასარგავად მოთხოვნილი მწვანე ნარგავების გადარგვაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გადასარგავად მოთხოვნილი ხე-მცენარეები (7 ცალი, სახეობა შავი ფიჭვი) წარმოადგენენ ძალიან პატარა დიამეტრისა და სიმაღლის მინ.7სმ-ს და მაქ.19სმ-ს ხე-მცენარეებს. საპროექტო შენობა-ნაგებობა განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნების გათვალისწინებით არის დაგეგმარებული, ასევე მაქსიმალურად გათვალისწინებულია ხე-ნარგავებთან მიმართებაში კანონმდებლობის მოთხოვნები და მოჭრა გადარგვისაგან დავიცავით ისეთი ხე-მცენარეები, როგორიცაა მარადმწვანე კვიპაროსები N1-დან N4-ის ჩათვლით. თუ გავითვალისწინებთ დასაგეგმარებლად არსებული გარემოს რთულ პირობებს, ვფიქრობთ რომ ოპტიმალური ვარიანტი გვაქვს შერჩეული შენობის განსათავსებლად.

გარდა ამისა, აღნიშნული ხე-მცენარეები აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს მოჭრა-გადარგვაზე, რაც დასაბუთებულია საექსპერტო შეფასებით.

წერილის ნომერი: **18-01241842449**
თარიღი: **02/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01241771727
წერილის თარიღი:	25 ივნისი, 2024
განმცხადებელი:	ვლადიმერ აბრამიშვილი
განაცხადის N	AR11032918
მისამართი	ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ივანე მაჩაბლის ქუჩა #19
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.20.01.164.001
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი; II კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „იბერკომპანი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ფოტოსურათები
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე, 30-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ სამსახურმა 2024 წლის 20 ივნისის #18-01241723133 წერილით ერთხელ უკვე დააფიქსირა პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია გასწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენამდე.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი,

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

წერილის ნომერი: **18-01241723133**
თარიღი: **20/06/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01241661558
წერილის თარიღი:	14 ივნისი, 2024
განმცხადებელი:	ვლადიმერ აბრამიშვილი
განაცხადის N	AR11032918
მისამართი	ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ივანე მაჩაბლის ქუჩა #19
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.20.01.164.001
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი; II კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „იბერკომპანი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ფოტოსურათები
დასკვნა: უარი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის

მე-5 პუნქტი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ ქვეპუნქტები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ ქვეპუნქტები.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან, განმცხადებლის მიერ გადასარგავად მოთხოვნილი მწვანე ნარგავები, ზრდასრული, ჯანსაღი მცენარეებია და მნიშვნელოვანია მათი შენარჩუნება ეკოლოგიური ბალანსის დაცვის მიზნით, ასევე, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, ბუნებრივი გარემოდან ამოღებამ და ახალ ნიადაგში გადატანამ შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტა, შესაბამისად, **სამსახურს მათი(შავი ფიჭვი-#5-19სმ, #7-12სმ, #8-14.5სმ, #10-12.5სმ, #11-16სმ, #17-9.5სმ, #21-7სმ) მოჭრა/გადარგვა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.**

განმცხადებელმა საპროექტო შენობა ისე უნდა განათავსოს, რომ დაცული იყოს მოცემულ მწვანე ნარგავამდე 3 მ-იანი მანძილი.

ამდენად, სამსახური მას შემდეგ დააფიქსირებს პოზიციას, როდესაც დაინტერესებული პირი, ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად დააკორექტირებს პროექტს.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



DMARK ARCHITECTURAL COMPANY	არქიტექტურული კომპანია "დემარკ"-ი	პროექტის დასახელება	დამკვეთი	ნახაზის დასახელება	სტადია	ფორმატი	მასშტაბი	ფურცლის #
		ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი კაკლებში	შპს "იბერკომპანი"		SD	A3	1:500	

ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ივანე მაჩაბლის №19-ში მდებარე 1340 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების (საკ. კოდი შესაბამისად 01.20.01.164.001) ტოპოგრაფიული გეგმა



შენიშვნა: საამზომველო სამუშაოები შესრულებულია საქართველოს მუდმივმოქმედი რეფერენს სადგურების ქსელი - GEOCORS -ის გამოყენებით.

პირობითი აღნიშვნები

- არასაცხოვრებელი შენობა
- საცხოვრებელი შენობა
- მშენებარე ნაგებობა
- დანგრეული შენობა
- ფარდული
- სატრანსფორმატორო ჯიხური
- რეზერვუარი
- ბორდიური
- ასფალტირებული გზა
- გრუნტის გზა
- რკინიგზა
- მაღალი ზაბრის ანძა
- საკომუნიკაციო ბოძი
- სამეთვალყურეო ჭა
- მავთულის ღობე
- ლითონის ღობე
- ქვის/ბეტონის ღობე
- წყალი
- გაზი
- კანალიზაცია
- ელ. ქსელები
- მიწის ნაკვეთის საზღვარი
- ხეები
- ბუჩქები
- რელიეფი
- ლამპიონები
- პიდრანტი, ორკანი

შპს "ლენდ მენეჯმენტი"

მისამართი: ქ. თბილისი, შ. რადიანის 5
მობ: (+995 511) 12 90 90

დამკვეთი: შპს „იბერკომპანი“ 231963818	აზომვაზე უფლებამოსილი პირი		ი. ჩიბურდანიძე
მისამართი: თბილისი, დაბა წყნეთი, ივანე მაჩაბლის ქუჩა №17 და №19	მასშტაბი 1:500 აზომვის თარიღი: 23.06.2022 წ.		ფორმატი A4 CS: WGS 1984 PROJ: UTM 38N